



შირაკი

SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი


№5 (9.964)

27 თებერვალი-5 მარტი 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი


ყოველკვირეული გამოცემა

ლაშა ბექაური თელ- ავივის გრან სლემის გამარჯვებული გახდა



33.8

„და უკრავ იყო, თებერვლის ღამე“



„მათი გმირობის მაგა- ლითები სამშობლოს სი- ყვარულს გვასწავლის“...



33.3

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი პროექტები შეირჩა



33.2

იქ, სადაც დღეს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს - პარლამენტის შენობა დგას, 100 წლის წინ, ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის ეზოში 1921 წელს სამშობლოს დამოუკიდებლობას შენარჩუნებულ იუნკრები დაკრძალეს. დღეს საქართველოს ოკუპაციას მათი ხსოვნის აღსანიშნავი მემორიალური დაფა გვახსენებს.

მანამდე კი, ჩვენს ბავშვობაში იყო 25 თებერვალი-დიადი თარიღი, რომელსაც გვახსენებდნენ და გვარწმუნებდნენ, რომ გასაბჭოებამ საქართველო გააბრწყინა...

ქალაქ დედოფლისწყაროში, მაშინდელ ნითელწყაროში, პირველი საშუალო სკოლის წინ მდებარე სკვერში სლავური გარეგნობის გმირის ბიუსტი იდგა. აქ ვიღებდით პირველ ფიცს, ჯერ კიდევ გაუცნობიერებლად პიონერთა რიგებში განუვრიახებულები. ყველას დიდი ბელადის ბავშვობის ფოტოთი დამშვენებულ სამკერდე ნიშნებს გვამაგრებდნენ და ნითელ ყელსახვევებს გვიკეთებდნენ. სამახსოვრო ფოტოს აქ, ამ სკვერში, კურიშკოს ძეგლთან ვიღებდით.

ეს ტრადიცია იყო. ლექსსაც გვასწავლიდნენ დიდი ბელადის სათნოებაზე: „ლენინს უყვარდა ბავშვები“...

ნითელ აღმებსაც ვაფრიალებდით ყოველი 7 ნოემბრისა თუ ნებისმიერ პარტიულ ზეიმზე.

თავიდან ჩვენც გვიხაროდა, თუმცა მერე, ქვეშეცნულად პროტესტის გრძობა იღვიძებდა და ყელსახვევების გაკეთებაზე უარს ვამბობდით.

კონტროლი მკაცრი იყო.

თუ პიონერული ყელსახვევის გარეშე გამოცხადდებოდი, სკოლაში არ გიშვებდნენ.

ჩვენც ვიკეთებდით, მაგრამ მალევე ვიხსნიდით და ჩანთებში ვკუჭავდით...

ასევე ვეცდოდით კომკავშირის სამკერდე ნიშნებსაც.

მალე ტყუილი, რომლითაც გვზრდიდნენ, გამოაშკარავდა.

მართალია, სკოლაში საბჭოთა კავშირის ისტორიად მონათლულ რუსეთის ისტორიას გვასწავლიდნენ, რომლის საათების რაოდენობაც მკვეთრად აჭარბებდა საქართველოს ისტორიის გაკვეთილებს, მაგრამ ქართულმა სულმა თავისუფლების გარეშე დიდხანს ვერ გაძლო...

დაიწყო საბჭოთა ბორკილების მსხვერვა და 1989 წელს ჩვენი თაობა, რომელიც სკოლის დამამთავრებელ კლასებში სწავლობდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას სულიერად მომზადებული შეხვდა.

სკვერში, სადაც საბჭოთა კავშირისადმი და პარტიისადმი ერთგულების ფიცს ვდებდით, კურიშკოს ძეგლი აიღეს. გმირი ანტიგმირად იქცა. მეტიც, დამპყრობლად.

1989 წელს ეს ადგილი საქართველოს პარტიარქმა აკურთხა. მოგვიანებით დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტა-

ძარი აიგო.

თუმცა, ბევრი ტყუილი შესახებ ჯერ კიდევ არ ვიცოდით.

ფოლადი, რომელიც ათეული წლობით ინტობოდა, ტყუილმა დაშალა.

სიმართლე კი აღმოჩნდა, რომ ჩვენი ქვეყანა ძალით დაიპყრეს და დაგვაშორეს ევროპულ ოჯახს;

ისტორიული პერეთი მოგლიჯეს საქართველოს და მეზობელს „უფეშაქუსს“;

შექმნეს ავტონომიური რესპუბლიკები და ამით ასაფეთქებლად გამზადებული ნაღმი ჩაუდეს საქართველოს;

აკი შედეგმაც არ დააყოვნა-თავისუფლებისადმი სწრაფვა არ გვაპატიეს და სეპარატისტული მოძრაობა დაუპირისპირეს საქართველოს: ჯერ აფხაზეთში, მერე - ე.წ. სამხრეთ ოსეთში, სინამდვილეში კი-ისტორიულ სამაჩაბლოში.

დღეს საქართველოს 20%-ზე მეტი ოკუპირებულია. კვლავ სტიკვა ჭრილობები საქართველოს. ელის „უძღები შვილების“ დაბრუნებას.

ერთმორწმუნე მეზობელი კი კვლავ „ნკებლისა და თაფლაკვერის“ პოლიტიკის გამოყენებას ცდილობს-ჯიუტად გვიმტკიცებს, რომ საქართველო ძალიან უყვარს და ურჩი შვილის დასამორჩილებლად იძულებულია, სიმკაცრე გამოიჩინოს.

ჩვენ რუსეთის ტყუილების დიდი ხანია, აღარ გვჯერა.

ბავშვობის ასაკიდან გამოსულებს და გამოფხიზლებულებს ჩვენი ოცნება და სურვილი გვაქვს-იქ გვინდა, ვისიც არ გვეშინია, სადაც ცივილიზაციაა და ჩვენს გამოსწორებას არა ძალისმიერი მეთოდებით, არამედ რჩევებითა და კანონის მორჩილების სწავლებით ცდილობენ; სადაც გვასწავლიან, რომ სანამ ბევრ რამეს არ შევცვლით ჩვენში, ევროპულ ოჯახში არ მიგვიღებენ.

არჩევანის თავისუფლებას გვაძლევენ და მას პატივს სცემენ.

ახლა ჯერი ჩვენზეა, რას ავირჩევთ: სინათლეს, თუ დავბრუნდებით უკან, ბნელ გვირაბში, საიდანაც გამოსვლა კიდევ უფრო გაგვიჭირდება.

ისტორიის თანამედროვე გაკვეთილი კი გვახსენებს:

ყველაფერი საუკუნის წინ დაიწყო. 1918 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, 1921 წელს კონსტიტუცია მიიღო და სახელმწიფოდ ჩამოყალიბება იზეიმა, მაგრამ თავისუფლებით ტკობა დიდხანს არ გაგრძელდა. რამდენიმე-დღიანი დამოუკიდებლობა გასაბჭოებულმა რუსეთმა 25 თებერვალს დაასრულა.

„თბილისის თავზე ნითელი დროშა ფრიალებს“-ამ საზეიმო სიტყვებით ამცნო ბაქოდან სერგო ორჯონიკიძემ ბელადს საქართველოს ანექსია.

ინგა შილაშვილი

კახეთის რწმუნებულის მორიგი სამუშაო შეხვედრა

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა, ირაკლი შიომვილიმა კახეთის რეგიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულების ხელმძღვანელებთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურებისა და საბავშვო ბაღების გაერთიანებების წარმომადგენლებთან მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე, რომელიც დისტანციურ რეჟიმში წარმართა რეგიონში არსებული ეპიდვითარება, საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების



მასწავლებელთა კოვიდ-ტესტირების მიმდინარეობა და საბავშვო ბაღებში 1 მარტისთვის მზადების პროცესი იქნა განხილული.

სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს: სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე, გივი მეტრეველი და დაავადებათა კონტროლის კახეთის რეგიონული სამმართველოს ხელმძღვანელმა, ნელი ხიზანიშვილმა.



საქველმოქმედო აქცია დედოფლისწყაროში

საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, სიღნაღისა და საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროსა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ ერთობლივი საქველმოქმედო აქცია განახორციელა.

აქციის ფარგლებში ასოციაციისა და ხელისუფლების წარმომადგენლები დედოფლისწყაროს სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრს ეწვივნენ და ხორნაბუჯის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვის სათამაშოები და მხატვრული ლიტერატურა მიიტანეს.

გარდა ამისა, „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ თავმჯდომარემ მაია კვეზერელი, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა გოგი მაჩხაშვილმა, მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილმა და დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ეთერ დავითაშვილმა, მერიის თანამშრომლებთან ერთად, ზემო მაჩხაანის ახლადამუშავებული საჯარო სკოლის ბიბლიოთეკას მხატვრული, საგანმანათლებლო და მეთოდური ლიტერატურა, ასევე ლექსიკონები და წიგნების თაროები გადასცეს.

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ 28 წელზე მეტია არსებობს. ასოციაციას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არაერთი საქველმოქმედო ღონისძიება აქვს განხორციელებული.



სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი პროექტები შეირჩა

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2021 წელს განსახორციელებელი პროექტები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში უკვე შერჩეულია.

აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული დასახლების საერთო კრებები სოფელ ზემო ქედის მოსახლეობასთან გამართული შეხვედრით დასრულდა.

ზემო ქედში შეხვედრას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანაიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ.

შეგახსენებთ, რომ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ჩვენს მუნიციპალიტეტში წელს 256 000 ლარი დაიხარჯება.



შეზღუდვების მოხსნის ახალი გეგმა დამტკიცდა

კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შექმნილმა საკოორდინაციო საბჭომ დანესებული მთელი რიგი შეზღუდვის მოხსნის გადაწყვეტილება მიიღო. შეზღუდვების ნაწილის მოხსნა 1-ელი მარტიდან დაიწყება. რეგულაციების შემსუბუქების შესახებ დეტალურ ინფორმაციას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

„მთავრობის უწყებთაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, რეგულაციების შემსუბუქების გეგმა შემდგომია:

- *სასტუმროები სამთო კურორტებზე გაიხსნება 25 თებერვლიდან არსებული ეპიდემიოლოგიური სტანდარტებისა და რეგულაციების სრული დაცვით;
- *სამთო კურორტებზე არსებული საბაგროები გაიხსნება 8 მარტიდან, ასევე ეპიდემიოლოგიური სტანდარტებისა და რეგულაციების სრული დაცვით;
- *საქალაქთაშორისო ტრანსპორტი ამოქმედდება 25 თებერვლიდან;
- *რესტორნების შიდა სივრცეები ფუნქციონირებას განაახლებენ შაბათ-კვირის გარდა, ბათუმში 1 მარტიდან, ხოლო ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე - 8 მარტიდან;
- *ამასთან, ძალაში რჩება 21 საათიდან დილის 5 საათამდე გადაადგილებაზე დანესებული შეზღუდვა;
- რესტორნებს შიდა სივრცეებში მოუწევთ დადგენილი რეკომენდაციებისა და სტანდარტების ზედმიწევნით დაცვა, რაც შესაბამისი უწყებების მხრიდან მკაცრად გაკონტროლდება;
- *კონფერენციები და ტრენინგები შესაბამისი პროტოკოლის დაცვით განახლდება 1 მარტიდან;
- *სპორტული დარბაზები ფუნქციონირებას განაახლებენ 15 მარტიდან განსაზღვრული რეგულაციების დაცვით; სკოლამდელი აღზრდის დანესებულებები, როგორც საჯარო, ისე კერძო, ფუნქციონირებას აღადგენენ 1 მარტიდან, 2 კვირაში ერთხელ თანამშრომლების 20 %-ის სავალდებულო ტესტირების პირობით;
- *უმალესი და პროფესიული სასწავლებლები კლინიკური, პრაქტიკული, ლაბორატორიული საქმიანობის აღდგენას და გამოცდების არადისტანციურ ფორმატში ჩატარებას შეძლებენ 1 მარტიდან, ხოლო სასწავლო პროცესის აუდიტორიებში აღდგენას - 15 მარტიდან;
- *სასკოლო წრეები ასევე განახლდება 15 მარტიდან;
- *მუზეუმები და ბიბლიოთეკები საქმიანობას განაახლებენ 1 მარტიდან;
- *თეატრები, სპორტული კლუბები, პროფესიული ანსამბლები რეპეტიციების და ვარჯიშის განახლებას შეძლებენ 15 მარტიდან, ხოლო საქმიანობის სრულად აღდგენას (თეატრალური წარმოდგენები, სპორტული შეჯიბრებები მყურებლის დასწრებით) 1 აპრილიდან;
- *არასასურსათო საცალო ვაჭრობა, შაბათ-კვირის ჩათვლით, იგულისხმება როგორც სავაჭრო მოღვაწეები, ისე ბაზრობები, მუშაობას განაახლებენ 8 მარტიდან;
- ამასთან, საკოორდინაციო საბჭოზე მიღებულია გადაწყვეტილება ქვეყანაში ვიზიტორების დაშვებასთან დაკავშირებული რეგულაციების შემდგომი შემსუბუქების შესახებ. კერძოდ, იმ ქვეყნების ჩამონათვალს, რომელთა მოქალაქეებს საქართველოს საპაერო საზღვრის გავლით ქვეყანაში შემოსვლა შეუძლიათ. PCR ტესტის ნეგატიური პასუხით, 1 მარტიდან ემატება შემდეგი ქვეყნები: სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ყაზახეთი, რუსეთი, ბელარუსი. სახმელეთო საზღვრებზე ამ ეტაპზე ისევ ვინარჩუნებთ დღეს მოქმედ რეჟიმს“, - ნათქვამია მთავრობის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



შსს მოქალაქეებს აფრთხილებს-ავტომობილების ძველ სანომრე ნიშნებს ვადა ეწურება!

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო საზოგადოებას შეახსენებს, რომ სატრანსპორტო საშუალების ძველი ნიშნის სახელმწიფო სანომრე ნიშნის იურიდიული ძალა 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით უნარჩუნდება და მოუწოდებს, რომ დროულად მიმართონ მომსახურების სააგენტოს სანომრე ნიშნის შესაცვლელად:

ვინაიდან, ქვეყნის მასშტაბით მიმოქცევაში დარჩენილია დიდი რაოდენობის ძველი ნიშნის სანომრე ნიშანი, მომსახურების სააგენტო მოუწოდებს შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეებს, დროულად მიმართონ მომსახურების სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებს სანომრე ნიშნის შესაცვლელად.

აღსანიშნავია, რომ დღეიდან ძველი სარეგისტრაციო ნიშნის მქონე სახელმწიფო ნომრების ახლით შეცვლისას, სავალდებულო აღარ არის სატრანსპორტო საშუალების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში მოყვანა და დათვალიერება, იმ შემთხვევაში თუ დაინტერესებული პირის სახელზე რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალება არ სხვისდება და მისი მონაცემები (მარკა, ძარას ტიპი, ფერი, სანვავის ტიპი, ძრავის ნომერი ან მოცულობა და ა.შ) არ არის შეცვლილი.

გარდა ამისა, დღეიდან მომსახურების სააგენტოს მობილური აპლიკაციის (SAGENCY) საშუალებით, მსუბუქი ავტომობილის მესაკუთრე ფიზიკურ პირს შეუძლია დისტანციურად მოითხოვოს ძველი ნიშნის რეგისტრაციის ნომრის შეცვლა ახლით, იმ შემთხვევაში თუ მის სახელზე რეგისტრირებული ავტომობილი არ სხვისდება და მისი მონაცემები (მარკა, ძარის ტიპი, ფერი, სანვავის ტიპი, ძრავის ნომერი ან მოცულობა და ა.შ) არ არის შეცვლილი.

დისტანციურად შეცვლილი ახალი ნიშნის სანომრე ნიშნის მიღება შესაძლებელია მთელი ქვეყნის მასშტაბით, შეკვეთისას მითითებულ სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში.

ამ ეტაპზე, დისტანციურად ნომრის შეცვლის სერვისი ვრცელდება მხოლოდ მსუბუქი ავტომობილების ძველი ნიშნის სახელმწიფო სანომრე ნიშნების ახლით შეცვლისას. ასევე, გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის პირველი მარტიდან მომსახურების სააგენტოს რუსთავის ტერიტორიულ ერთეულში მოქალაქეებს სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციასთან დაკავშირებული სერვისების მისაღებად შეეძლება ანგარიშსწორება ანარმომო პლასტიკური ბარათის საშუალებით სააგენტოს ოპერატორებთან. მომსახურების სააგენტო მოუწოდებს მოქალაქეებს, ადგილზე სერვისების მისაღებად გამოცხადდნენ პირბადით, თანხლები პირების გარეშე.

მათი გმირობის მაგალითები სამშობლოს სიყვარულს გვასწავლის

100 წლის წინ, 1921 წლის 25 თებერვალს, ორპირიანი ბრძოლების შემდეგ წითელი არმიის მიერ თბილისის დაპყრობით დაიწყო საქართველოს ოკუპაციის სისხლიანი ისტორია, რომელიც დღესაც არ დასრულდა. ოკუპაცია ახლაც ისევე კლავს ადამიანებს და სახელმწიფო ინსტიტუტებს, რომორც კლავდა 100 წლის წინ. ოკუპაციის ისტორია სხვა არც არაფერია, თუ არა ამ სისხლიანი ეპიზოდების (1921, 1924, 1937, 1956, 1989, 2008...) ჯერ-ჯერობით უწყვეტი ჯაჭვი.

საბჭოთა ოკუპაციის 100 წლისთავთან დაკავშირებით ქ. დედოფლისწყაროს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (დირექტორი მანანა მახარაშვილი) თეორიული კონფერენცია „საქართველოს ოკუპაცია-100“ გაიმართა.

ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან ერთად ღონისძიებაში მონაწილეობდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით ფხოველიძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ეთერ დავითაშვილი, ასევე N1 საჯარო სკოლის მოსწავლეები, კულტურის სფეროსა და მედიის წარმომადგენლები. ბიბლიოთეკის თანამშრომელმა თინათინ ელაშვილმა ისაუბრა იუნკერთა გმირობის შესახებ. სიტყვით გამოხსენებებმა კიდევ ერთხელ მოიგონეს გმირები, რომლებიც 1921 წლის თებერვალში საქართველოს თავისუფლებისათვის საკუთარი სიცოცხლის ფასად იბრძოდნენ.

დავით ფხოველიძე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე: „25 თებერვალი მრავალმნიშვნელოვანი დღეა. წლების განმავლობაში სხვა ისტორიას გვასწავლიდნენ, რომლის

მიხედვითაც ეს თარიღი იყო საქართველოს გაზაფხულის დასაწყისი. არ ვიცნობდით მარო მაცაშვილს და სხვა გმირებს, რომელთაც თავი განირეს ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის. მე მჯერა, ჩვენი ხელისუფლება გადადგამს იმ პოლი-



ტიკურ ნაბიჯებს, რომლითაც დაკარგულ ტერიტორიებს დავიბრუნებთ“.

ეთერ დავითაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის ხელმძღვანელი: „25 თებერვალი ქვეყნის ყველაზე ტრაგიკული დღეა. ამ დღეს საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა და მას მართავს სხვა ქვეყნის ხელისუფლება.“

100 წლის წინ ფეხქვეშ გათელეს ქვეყნის დამოუკიდებლობა-ეს საქართველოს რეალური ისტორიაა. მაშინდელმა ახალგაზრდობამ არ იცოდა ეს. ფაქტ-

ბი დამახინჯებული იყო. დღეს სხვა ვითარებაა. კარგია, რომ ამ ღონისძიებაში მონაწილეობენ მოსწავლეები. დიას, მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს, როგორ იბრძოდნენ ახალგაზრდები საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

მათი გმირობა საუკეთესო მაგალითია და მომავალ თაობას ასწავლის იმას, როგორ უნდა უყვარდეთ სამშობლო და მისთვის თავგანწირვა შეძლონ. დღეს საქართველოს მთავრობის მეთაური ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრია. ირაკლი ლარიბაშვილი მეშვიდე კლასში სწავლობდა, როდესაც თავისუფალ თემში მან დაწერა: „ჩემი სურვილია, გავხდეთ საქართველოს თავდაცვის მინისტრი და ჩვენ ვიყოთ ის თაობა, რომელიც აფხაზეთს დაიბრუნებს“. მისი ერთი სურვილი შესრულდა, იმედი გვაქვს, მისი პატრიო-

ტული სულისკვეთება მეორე სურვილსაც რეალობად აქცევს!

ნანული ნატროშვილი, ისტორიკოსი: „25 თებერვალს წინ უძღოდა 21 თებერვალი-კონსტიტუციის მიღების დღე. ეს ღონისძიებები თარიღია. მაშინ საქართველომ პირველად იგრძნო თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. 1921 წლის 21 თებერვალს აისრულა დიდი ხნის ოცნება, მაგრამ ბაქოდან მე-11 არმიის შემოსვლამ ქვეყნის დამოუკიდებლობის წართმევასთან ერთად ყველა ოცნებას ფრთები შეაკეცა. დღეს მიხარია, რომ ქვეყნის მეთაური ჩვენი აღზრდილია და მჯერა, ის ყველაფერს გააკეთებს საქართველოს კეთილდღეობისთვის.“

ილია მარტყოფლიშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორი: „ძალიან კარგი ღონისძიება ჩატარა მუნიციპალურმა ბიბლიოთეკამ. ისინი ყოველთვის ეხმარებიან - ხოლმე ღონისძიებებზე თარიღებს და არც დღევანდელი დღე აღმოჩნდა გამოჩვეული. მართალია, პანდემიამ ბევრი რამე შეცვალა და, მათ შორის, ღონისძიებების ჩატარების წესიც, მაგრამ კარგია, რომ მცირე მასშტაბით, მაგრამ ოკუპაციის 100 წელი მაინც აღინიშნა. მიხარია, რომ მომავალი თაობა მონაწილეობს ამ ღონისძიებაში და ვისურვებდი, რომ მათ არასოდეს გამოეცადოთ ოკუპაციით მიყენებული ტყვიანი.“

საბჭოთა ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ შენობაზე დაშვებული იყო სახელმწიფო დროშები.

„დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია“...

საქართველოს დამოუკიდებლობას 1921 წლის თებერვალში ბევრი ახალგაზრდა შეენირა. კოჯორ-ტაბახმელას მიდამოებში მიმდინარე შეტაკება, სამწუხაროდ, ქართველთა დამარცხებით დასრულდა. ამით დამთავრდა საქართველოს თავისუფლება.

მანამდე კი ინტელიგენციის წარმომადგენლები თავად მიუძღოდნენ ახალგაზრდებს ამ ბრძოლაში. პათოსი წმინდა ქართული იყო: „ან სიკვდილი, ან გამარჯვება“!

ივანე ჯავახიშვილი იგონებს, „დარბაზში შევედი და მასწავლებლებს და სტუდენტებს მივმართე, მე, როგორც უნივერსიტეტის რექტორი, უნდა მოგიწოდებდეთ, შეხვიდეთ აუდიტორიებში და ისწავლოთ, მაგრამ სამშობლო საფრთხეშია და ვისაც სურვილი ექნება, მოხალისედ წავიდესო“... ასეც მოხდა. ძალიან ბევრი სტუდენტი წავიდა მოხალისედ,

მათ შორის, ეკატერინე გაბაშვილის შვილიშვილი, კოტე მაცაშვილის ქალიშვილი - მარო მაცაშვილი. ივანე ჯავახიშვილი კი იდგა პირველი კორპუსის მთავარ შესასვლელთან, იქვე იყო საქართველოს რესპუბლიკის დროშა, რომელსაც ჰკოცნიდნენ მოხალისეები და ისე მიდიოდნენ ფრონტზე.“

ქართველი იუნკრების საგმირო საქმეებზე არაერთი ცნობა არსებობს. ხშირად იხსენებენ 22 წლის შალვა ერისთავის გმირობასაც - ის თურმე საკუთარი სხეულით გადაეფარა მტრის ტყვიამფრქვევს. მისი დის შვილიშვილი, თამარ აშხაცავა, დღეს იხსენებს: „გენერალ ალიკა ჩხეიძეს უწერია, მე ასეთი ლამაზი სიკვდილი არ მინახავსო... ასეთი რამ ხომ მხოლოდ სამშობლოს უდიდესი სიყვარულით ხდება...“

„ამ ბრძოლაში იუნკრების რაინდობისა და მისი დიდი სილამაზის სამარადისო სიმბოლო სურათად დარჩება ტყვიამფრქვევაზე მფლანგო, განგმირული შალვა ერისთავი“, - წერდა სამხედრო სკოლის მეთაური პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე.

იუნკრები შალვა ერისთავი და იოსებ ჯანდიერი 24 თებერვალს დაიღუპნენ, როცა იერიშზე გადასულ თბილისის დამცველებს ოკუპანტებმა გორაკზე დადგმული „მაქსიმის“ ტყვიამფრქვევიდან გაუხსნეს ცეცხლი. საჭირო გახდა ტყვიამფრქვევის გაუვნებელყოფა. შალვა ერისთავმა, რომელიც ფეხბურთელი იყო, სწრაფად გადაიბრუნა მანძილი ტყვიამფრქვევამდე, ხიშტი მოკლა მემიზნე ოფიცერი და სხეულით კი გადაეფარა ტყვიამფრქვევს, რამაც თანამებრძოლებს შეტევაზე გადასვლის საშუალება

მისცა.

1921 წლისათვის იუნკერთა სამხედრო სკოლაში 183 მოსწავლე ირიცხებოდა, მათგან 166 თბილისის თავდაცვის მარჯვენა სექტორში, კოჯორ-ტაბახმელას მიდამოებში, იბრძოდა. ოკუპანტების წინააღმდეგ ომში დაიჭრა 43 იუნკერი, დაიღუპა 9: ალექსანდრე ახვლედიანი პლატონ დოლიძე, შალვა ერისთავი, პავლე იაკობაშვილი, ლევან კანდელაკი, ოთარ ლორთქიფანიძე, მიხეილ ლოლუა, იოსებ და ილია ჯანდიერები.

ამ გადმოსახედიდან აქტუალურია კითხვა: რა მოხდებოდა, ქართველი ბოლშევიკები რომ არ ყოფილიყვნენ?

1920 წლის მაისში რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებები რომ მიმდინარეობდა, საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენელმა გრიგოლ ურატაძემ, სტალინი მის კაბინეტში მონახულა. საბჭოთა რუსეთის ეროვნულ საქმეთა კომისიის კაბინეტში საუბრის დროს, მათთან შევიდა საბჭოთა დიდმოხელე ლევ კამენევი. მიკითხვა-მოკითხვის შემდეგ კამენევი თითქმის ალაპარაკნად უუხვავა ურატაძეს: „ახ თქვე ქართველთა თითქმის მთლიანად, რომ მარტოვანად მიიტოვებთ მხრად და კახური ღვირვი? წუხას უკაცრავად ძამო, ეს არც ისა ადვილია! ჩვენ ასე ადვილად ვერ გავიშვებთ - ასე არაა ამხანაგო სტალინი?“

რომ წარმოვიდგინოთ ქართველი ბოლშევიკების არყოფნა, მაშინ ბევრი სხვა რამის წარმოდგენაც მოგვიწევს: არ შედეგობდა შულავერის კომიტეტი; ბოლშევიკები ველარ მოანყოფნენ საქართველოში ანტისახელმწიფოებრივ აჯანყებებს და ა. შ. ამ ყველაფრის წარმოდგენა ძნელი იქნება. ერთი კი ფაქტია - ქართველმა




მარო მაცაშვილი

ბოლშევიკებმა სულ ცოტა, 50 პროცენტით მაინც გაუადვილეს საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებას - საქართველოს ოკუპაცია.

ულიანოვ-ლენინის ძალიან ეშინოდა - დასავლეთის სახელმწიფოების რეაქციისა ის მუდმივად აფრთხილებდა თავის ქართველ კოლეგებს, სტალინს და ორჯონიკიძეს, რომ საქართველოსთან ომი, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა დამთავრებულიყო.

თუ ის რამდენიმე თვე გაბრძოლებოდა, შეიძლება სულაც, ბრიტანეთთან სავაჭრო ხელშეკრულებას საფრთხე დაემუქრებოდა. შეიძლება აშშ-დან დიდი ჰუმანიტარული დახმარებები შეწყვეტილიყო და ა. შ. ერთი სიტყვით, გეპრი სიურპრიზი შეიძლება მიეღოთ.

გვერდი მოამზადა
ინგა შიოლაშვილი



შალვა ერისთავი

მიმდინარეობს მოლაპარაკებები ვაქსინის თაობაზე



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა სატელეფონო საუბარი გამართა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) გენერალურ დირექტორ ტედროს ადანომ გებრესუსთან, რათა, მსოფლიოში მიწოდების კუთხით არსებული კრიზისის მიუხედავად, საქართველოს ჰქონდეს ორგანიზაციის კიდევ უფრო აქტიური მხარდაჭერა ვაქცინის პირველი დოზების რაც შეიძლება მალე მისაღებად.

საუბარი შეეხო პანდემიის კუთხით გლობალურად არსებულ ვითარებას, ვაქცინაციის პროცესში მსოფლიოში წარმოქმნილ სირთულეებს, შეფერხებებს და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერის მნიშვნელობას საქართველოში ვაქცინაციის დროულად დაწყების მიმართულებით.

ყურადღება გამახვილდა ვაქცინის სამართლიანი განაწილების მნიშვნელობაზე, რათა ამ კუთხით ყველა სახელმწიფომ თანაბარი შესაძლებლობებით ისარგებლოს.

აღინიშნა საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები, როგორც ქვეყანაში ვაქცინის დროული შემოტანის, ისე ინფრასტრუქტურული და ლოჯისტიკური საკითხების მოგვარების კუთხით. პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ გარდა COVAX-პლატფორმისა, სახელმწიფო აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს საერთაშორისო პარტნიორებსა და ვაქცინის მწარმოებლებთან, რათა ვაქცინის პირველი დოზები რაც შეიძლება მალე მიიღოს და ამ პროცესში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ირაკლი ლარიბაშვილმა ჯანმოს გენერალურ დირექტორს საქართველოს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და ხაზი გაუსვა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის როლს ვაქცინაციის ეროვნული გეგმის დამტკიცებაში, რომელიც განსაზღვრავს სამიზნე ჯგუფებს და წლის ბოლომდე მოსახლეობის 60%-ის ვაქცინაციას ისახავს მიზნად.

მთავრობის მეთაურმა დაადასტურა მზადყოფნა, საქართველომ მომავალშიც განაგრძოს მჭიდრო თანამშრომლობა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასთან სხვადასხვა მიმართულებით, ვინაიდან პანდემიის დამარცხება და ცხოვრების ნორმალურ რეჟიმში დაბრუნება მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით არის შესაძლებელი.

ბიძინა კულუმბაგოვი: „კოვადს“ კარი უნდა „ავუტალახოთ“, ვაქცინაციის დაწყების თითოეულ დღეს გადაწყვეტი მნიშვნელოვანია

„ქვეყნის სრულმასშტაბიანი გახსნა დაანონსდა, რაც თავისთავად კარგია, მაგრამ აღნიშნული ფაქტი რეგულაციების (და არა შეზღუდვების) გამკაცრების და მეცნიერებაზე დაფუძნებული ინფორმაციის სახელმწიფოებრივ დონეზე გამოყენების აუცილებლობის წინაშე გვაყენებს.

კვლევებით დადგინდა, რომ ინფექციის გავრცელების ყველაზე მაღალი რისკის მატარებელია: რესტორნები, სატრენაჟორო სივრცეები, ბარები და კლუბები, ეკლესიები ან რელიგიური თავყრილობები. ნაკლები რისკის შემცველია: ოფისები, სალონები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

20 თებერვლის მონაცემებით პირბადის ტარების მაჩვენებელი 72 და 66% მდე ჩამოვარდა, სამიზნე 95%-ია!“ -ნერს ბიძინა კულუმბეგოვი საკუთარ ფეისბუქგვერდზე.

როდესაც ვხსნით ყველაფერს, მოსახლეობა დუნდება და ახალი შტამების გავრცელების საფრთხის ქვეშ ვდგებით, - ამის შესახებ ალერგოლოგ-იმუნოლოგმა, ბიძინა კულუმბეგოვმა „პირველი არხის“ ეთერში განაცხადა.

მისი თქმით, ვაქცინაციის დაწყების ვადის ყოველი გადადება ყველა სხვა ფაქტორთან ერთად ეპიდემიოლოგიურ რისკებს ზრდის.

„კოვადს“ კარი უნდა „ავუტალახოთ“, თითოეულ დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ერთ დღეში შეიძლება 15 ათასი ადამიანი ავცრათ, რომელსაც ვიცით რომ ვირუსი არ დაემართება და საავადმყოფოში მოხვედრა არ დასჭირდება. ამიტომ ერთ დღეში შეიძლება რამდენიმე ათეული ადამიანის სიცოცხლე გადავარჩინოთ“, - განაცხადა ბიძინა კულუმბეგოვმა.

ეკატერინე ტიკარაძის განმარტებით, საქართველოში ვაქცინის შემოსვლის თარიღი კვირის ბოლომდე გაირკვევა.

მანამდე, თენგიზ ცერცვაძემ განაცხადა, რომ საქართველოში კორონავირუსის ვაქცინის შემოტანის თარიღმა 1-2 კვირით გადაინია.

ვირუსით ინფიცირების პირველი შემთხვევა ქვეყანაში 2020 წლის 26 თებერვალს დადასტურდა. 21 მარტს საქართველოში საგანგებო მდგომარეობა ამოქმედდა, 31 მარტიდან კი - საყოველთაო კარანტინის რეჟიმი.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსთან დაკავშირებით პანდემია 2020 წლის 11 მარტს გამოაცხადა. მანამდე კი, 30 იანვარს ჯანმოს კორონავირუსი გლობალურ საფრთხედ მიიჩნია. ჩინეთში პნევმონიის აფეთქება 2019 წლის დეკემბერში დაიწყო. ის გამოწვეულია კორონავირუსის აქამდე უცნობი შტამით.

21 იანვარს ჩინეთმა დაადასტურა, რომ კორონავირუსი გადამდებია. მომხდარის გამო ქვეყნის ორ ქალაქში კარანტინი გამოცხადდა.



საქართველოში კორონავირუსით ინფიცირების 337 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, ქვეყანაში ბოლო 24 საათში 25 436 ტესტი ჩატარდა



Stopcov.ge-ზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ინტენსიური ტესტირების ფარგლებში, 26 თებერვლის მონაცემებით, ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა 25 436 კვლევა ტესტით, მათ შორის 17 311 კვლევა ანტიგენის ტესტით და 8 125 PCR ტესტით.

ჩატარებული ტესტირების შედეგად, ბოლო 24 საათში გამოვლინდა ვირუსით ინფიცირების 337 ახალი დადასტურებული შემთხვევა. ქვეყანაში კოვიდ-19-ის პანდემიის გავრცელებიდან დღემდე გამოვლენილი დადასტურებული შემთხვევების საერთო რაოდენობა შეადგენს 270 137-ს. რაც შეეხება დადებითობის მაჩვენებელს, 25 თებერვლის მდგომარეობით, დადებითობის დღიური მაჩვენებელი არის 1.32 %, ბოლო 14 დღის მანძილზე - 2.2 %, ხოლო 7 დღის მანძილზე - 2.03%. ბოლო 24 საათში ვირუსისგან გამოჯანმრთელდა 320 პირი, ხოლო ჯამში გამოჯანმრთელებულთა რაოდენობა გაიზარდა - 264 047-მდე. ბოლო 24 საათში კორონავირუსით გარდაცვალების 10 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა. პანდემიის გავრცელებიდან დღემდე ვირუსს ჯამში 3 485 პირი ემსხვერპლა. 26 თებერვალს ქვეყანაში გამოვლენილი ინფიცირების 337 ახალი შემთხვევიდან: თბილისში გამოვლენილია 175 შემთხვევა, აჭარა - 17, იმერეთი - 37, ქვემო ქართლი - 15, შიდა ქართლი - 21, გურია - 13, სამეგრელო - ზემო სვანეთი - 33, კახეთი - 18, მცხეთა-მთიანეთი - 5, სამცხე-ჯავახეთი - 1, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 2.

ამ ეტაპზე ინფიცირების მიმდინარე აქტიური შემთხვევა არის 2 579, საიდანაც: 1 542 ადამიანი მკურნალობს საავადმყოფოში, მათ შორის, თბილისის საავადმყოფოებში - 735, აჭარაში - 165, იმერეთში - 285. ამ ეტაპზე მძიმე პაციენტია 277 პირი, მათ შორის, თბილისში - 96, აჭარაში - 33, იმერეთში - 82. ხელოვნური სუნთქვის აპარატზე იმყოფება 110 პირი, მათგან თბილისში - 73, აჭარაში - 8, იმერეთში - 11. 167 ადამიანი მოთავსებულია კლინიკურ-სასტუმროებში, მათ შორის 107 - თბილისში, 54 - აჭარაში, 3 - იმერეთში. 870 პირი ვირუსის მკურნალობის კურსს გადის საცხოვრებელ ბინაზე.საკარანტინე სივრცეებში მოთავსებულია 304 ადამიანი, მათ შორის, თბილისში - 92, ხოლო აჭარაში - 86. სულ 6 ოქტომბრიდან - 25 თებერვლის პერიოდში, სახელმწიფო საზღვრიდან საკარანტინე სივრცეებში გადაყვანილია - 23 167 პირი.

ამ ეტაპისთვის თვითიზოლაციაში იმყოფება 7 970 ადამიანი, მათ შორის თბილისში - 3 879 პირი, აჭარაში - 443, იმერეთში - 633.

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ინფორმაციით, დედოფლისწყაროში იანვრის თვეში დაფიქსირდა კორონავირუსის 77 ახალი შემთხვევა, თებერვალში კი 24. კოვიდპანდემიის პერიოდში მთლიანად მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა 768 შემთხვევა. აქედან გამოჯანმრთელდა 746, გარდაიცვალა 12. საბედნიეროდ, 2021 წელს გარდაცვალების არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. 26 თებერვლის მონაცემებით სტაციონარში მკურნალობს 1 ადამიანი, თვითიზოლაციაში იმყოფება 19 პირი. როგორც „შირაქთან“ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის წარმომადგენელი ლალი ალადაშვილი აღნიშნავს, დედოფლისწყაროში ახალი კორონავირუსის გავრცელების მაჩვენებელი შემცირებულია. მთავარია შევინარჩუნოთ ეს სიტუაცია და დავიცვათ რეგულაციები, რათა არ მოხდეს ხელახლა კოვიდაფეთქება.

რა მდგომარეობაშია საქართველოს ეკონომიკა

კორონავირუსისგან წარმოქმნილმა კრიზისმა საქართველოს ეკონომიკას მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა, რაზეც უკვე ოფიციალური სტატისტიკაც მეტყველებს. „საქსტატი“-ს მონაცემებით 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ 6.1%-ით შემცირდა. გასაგებად რომ ვთქვათ, ეკონომიკის შემცირება ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში ფირმები ნაკლებ საქონელსა და მომსახურებას ქმნიან, რაც, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ამ ყველაფერს ნაკლები მუშა-ხელი სჭირდება, ანუ გამოდის, რომ უმუშევრობა იზრდება.

როგორც ოფიციალური სტატისტიკა გვიჩვენებს, 2020 წლის მეოთხე კვარტალში უმუშევრობის დონე საქართველოში 20.4%-მდე გაიზარდა, ხოლო წლიურ ჭრილში უმუშევრობამ 3.8 პროცენტული პუნქტით მოიმატა. ცხადია, თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი დიდია, სავარაუდოა, რომ უმუშევრობის დონე გაცილებით მაღალია.

უმუშევრობის ზრდასთან ერთად მოსახლეობას კიდევ ერთი პრობლემა ღარის სახით დაემატა. გასულ წელს ლარი დოლართან რეკორდულად გაუფასურდა, მეტიც, 2020 წლის მარტში ერთი ამერიკული დოლარის ღირებულება 3,58 ლარსაც შეადგენდა. ასევე ისიც ფაქტია, რომ ლარი მიმდინარე წელსაც გაუფასურებულია და ერთი დოლარი დაახლოებით 3,29 ლარიდან 3,32 ლარის ფარგლებში ივარჯნება.

მაშინ, როცა ეროვნული ვალუტა ასეთ მდგომარეობაშია, საინტერესოა თუ კონკრეტულად რა შედეგები მოაქვს გაუფასურებულ ლარს საზოგადო-

ბის ყოველდღიურ ცხოვრებაში. გაუფასურებული ლარი ქვეყანაში არსებული ფასების დონის ზრდაზე მოქმედებს. საქართველოში ძირითადი მოხმარების საქონლისა და მომსახურების 70%-ზე მეტი იმპორტირებულია. როცა ქვეყნის ძირითად მოხმარების საქონელი იმპორტირებულია, ეს ნიშნავს, რომ გვეჭირდება უცხოური ვალუტა, კონკრეტულად კი დოლარი, რათა ქვეყანაში შემოვიტანოთ სხვადასხვა ჩვენთვის საჭირო პროდუქტი.

დოლარის საყიდლად კი გვეჭირდება ლარი. ხოლო როცა ლარი უფასურდება, ეს ნიშნავს, რომ დოლარი ძვირდება, რაც ამავე დროს ნიშნავს, რომ უცხოური პროდუქტი გვიძვირდება. ეს კი ფასების საერთო დონეზეც აისახება. 2021 წლის იანვარში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 1.1 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 2.8 პროცენტი შეადგინა. თუმცა, მიუხედავად ინფლაციის დაბალი დონისა, რეალურად მოსახლეობას ცხოვრება მაინც გაუძვირდა, რადგან ამ ერთი წლის განმავლობაში ფასები საკვებ პროდუქტებზე მაინც მნიშვნელოვნადაა გაზრდილი, მაგალითად, ამ ერთი წლის განმავლობაში 27.3%-ით გაიზარდა ზეთის ფასი, 10.4%-ით თევზების, რძე ყველი და კვერცხი 9.1%-ით გაძვირდა, პური და პურპროდუქტები კი 7.5%-ით.

ეს ის პროდუქტებია, რომლებიც ყოველდღიურად არსებობისთვის გვეჭირდება. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ჯერ კიდევ 2019 წელს, როცა ინფლაცია 6.2% იყო, თავად ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გვითხრა, რომ საქონელზე ფასების დონე ლარის გაუფასურების გამო გაიზარდა.

შასაბამისად, დღეს საქართველოში არის მდგომარეობა, როცა მოსახლეო-



ბას შემოსავლები უმცირდება, ხოლო ფასები პირველადი მოხმარების პროდუქტებზე იზრდება. ეს კი კეთილდღეობის შემცირებას ნიშნავს. სხვა თუ არაფერი, ეკონომიკის მძიმე მდგომარეობას ის სტატისტიკაც ასახავს, რომლის მიხედვითაც, 2020 წელს, საქართველოში პენსიის და სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობამ 958 317 პირი შეადგინა. შეგახსენებთ, რომ ქვეყანაში სულ 3,7 მილიონი ადამიანი ცხოვრობს.

რაც შეეხება სამომავლო პერსპექტივებს, სამწუხაროდ, იმედის ნაპერწკალი მაინცდამაინც არც აქ იგრძნობა. თუ სხვადასხვა ორგანიზაციის პროგნოზებს დავეყრდნობით, 2021 წლის პირველ

კვარტალში საქართველოს ეკონომიკა ისევ შემცირდება. მაგალითად, კვლევითი ინსტიტუტი „აისეტი“ მიმდინარე წლის პირველ სამ თვეში ეკონომიკის 3.5%-იან ვარდნას ვარაუდობს. საქართველოს საბიუჯეტო ოფისი კი მოელის, რომ პირველ კვარტალში ეკონომიკა 4.6%-ით შემცირდება.

ასევე თუ ჩვენ სამთავრობო, ან საერთაშორისო ორგანიზაციების პროგნოზებს დავეყრდნობით, მიმდინარე წელს საქართველოს ეკონომიკა ვერ აღდგება. ეს იმას ნიშნავს, რომ 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა 2019 წლის დონეს ვერ დაუბრუნდება.

ლარში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა

ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, 2021 წლის იანვარში წინა თვესთან შედარებით ფიზიკური პირებისთვის ლარში გაცემულ სესხებზე წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა.

კერძოდ, ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე საბაზო საპროცენტო განაკვეთი 14,4%-დან 15,7%-მდე გაიზარდა. ამავე მაჩვენებლების მიხედვით, სესხებზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილება მოხდა როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისთვის ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე. კერძოდ, დეკემბრის მონაცემებით, ფიზიკური პირების სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 17%-ს, იურიდიულის - 11,6%-ს, უკვე იანვარში კი ფიზიკური პირებზე სესხები 18,7%-მდე გაიზარდა, იურიდიულებზე - 12,1%-მდე.

რაც შეეხება უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთს, აქ მცირედი ზრდა ფიქსირდება და ისიც მხოლოდ ფიზიკური პირებისთვის გაცემულ სესხებზე. დეკემბერში ფიზიკურ პირებზე სესხზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 6,2%-ს, იანვარში კი 6,7%-ს. იურიდიული პირებისთვის სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 7%-ს შეადგენს.



რესტორნებს, შესაძლოა, რეგულაციები გაუმკაცრდეს

რესტორნებს მთელი ქვეყნის მასშტაბით შიდა სივრცეში სტუმრების მიღება უკვე 8 მარტიდან, ხოლო ბათუმში 1-ლი მარტიდან შეეძლება. ამის შესახებ გუშინ პრემიერ-მინისტრის ირაკლი ლარიბაშვილის განცხადების შემდეგ გახდა ცნობილი. თუმცა, როგორც რესტორატორთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა შოთა ბურჯანაძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „საქმე“ განაცხადა, რესტორნებს შესაძლოა დამატებითი რეგულაციები დაუნესდეთ და ასე მოუხდეთ მუშაობის განახლება.

„ჩვენ არ უნდა დავრქვათ ამ საკითხს, რომ რესტორნები გაიხსნა, რესტორნებს მიეცათ დამატებითი შესაძლებლობა ფუნქციონირების, მაგრამ სრულყოფილ ფუნქციონირებამდე ძალიან შორსა ვართ. ამასთან, დამატებითი რეგულაციები იქნება შემუშავებული, რომელიც არსებულ წესებს და მოთხოვნებს კიდევ უფრო შეზღუდავს. ეს ახალი/დამატებითი რეგულაციები არ გამოქვეყნებულა და არის მუშაობის პროცესში. მაგალითად, საუბარია, რომ თუ აქამდე შიდა სივრცეში მაგიდასთან 6 ადამიანის ერთად დასხდომა იყო შესაძლებელი, მომავალში დასაშვებია იქნება 4 ადამიანი, თუ აქამდე კვადრატული იყო 2,5 ერთ ადამიანზე, ეს გაიზარდება და შესაბამისად, სარესტორნო სივრცეში ერთდროულად მყოფი ადამიანების რაოდენობა შემცირდება, ასევე რესტორნებში, სადაც დიდი რაოდენობის ადამიანების მიღება არის შესაძლებელი, ზედა ზღვარი დაწესდება და მთლიანი კვადრატული მიუხედავად, კონკრეტული რაოდენობის ზემოთ ადამიანებს ვეღარ მიიღებენ.“-განაცხადა ბურჯანაძემ.



სტრესი და კვებითი ნორმების დარღვევა

არსებობს სერიოზული კვებითი აზროვნება და ამას სჭირდება ინფორმაციული ბაზა და მართლმადიდებლური განხილვა. არის სტრესის განხილვა და მისი გავლენა ადამიანზე. რა არის ემოციური, სტრესული შტამა?

ჭამა, როგორც ვიცით, ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა, რომელიც არსებობს თვის არის აუცილებელი. თუმცა, არსებობს განსხვავება ფიზიკური შიმშილის გამო ჭამასა და ემოციურ ჭამას შორის.

როდესაც ჭამას ნუგემის, სტრესთან გამკლავების ან საკუთარი თავის დაჯილდოების მიზნით მივართავთ, ეს არის ემოციური ჭამა. ანუ, როდესაც საჭმელს ვიყენებთ ემოციური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

როგორ განვასხვავოთ ემოციური ჭამა ფიზიკური შიმშილის გრძობისგან?

როდესაც: • უცებ გვივდება • გვინდება არაჯანსაღი საკვები • ვჭამთ გადაჭარბებული რაოდენობით • ვერ ვკმაყოფილდებით • ვჭამთ გაუაზრებლად • ხშირად შემდეგ თავს დამნაშავედ ვგრძნობთ.

რატომ გვინდება არაჯანსაღი (განსაკუთრებით მაღალი შაქრის და ცხიმის შემცველი) საკვები ემოციური ჭამის დროს?

სტრესი

როდესაც განვიცდით უარყოფით ემოციებს, ეს ჩვენში იწვევს სტრესს; ასევე, სტრესი, შესაძლოა, გადაიზარდოს უარყოფით ემოციებში (ანუ ეს ორი რამ ერთმანეთზე საკმაოდ მკაფიოდ ახდენს გავლენას).

რა არის სტრესი? სტრესი არის ადაპტაციური თვისება, ანუ თვისება, რომელიც ევოლუციის შედეგად გამოვლინდა, რათა უკეთ შევძლოთ გარემოსთან ადაპტაცია.

როდესაც განვიცდით უარყოფით სტრესს, ორგანიზმი თვლის, რომ ის გარდაუვალ საფრთხეშია და ემზადება, ძირითადად, ან ბრძოლისთვის ან გაქცევისთვის. სამწუხაროდ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი უნარი ვერ ანსხვავებს შენი სტრესის გამომწვევი მიზეზი რეალურ

გარდაუვალი საფრთხეა, პარტნიორთან კონფლიქტი, თუ სამსახურში უსიამოვნება. ეს სისტემა არ არის მორგებული იმაზე, რომ ასე ხშირად და ქრონიკულად განვიცდიდეთ სტრესს, როგორც დღევანდელ რეალობაში განვიცდით, შესაბამისად, ბევრ შემთხვევაში, ეს თვისება შეუსაბამო გახდება.

რა ხდება ორგანიზმში სტრესის დროს?

ორგანიზმი თვლის, რომ ჩვენ გვჭირდება დიდი რაოდენობით ენერჯია... და თან სწრაფად, რათა ამ „საფრთხეს“ შევებრძოლოთ. სწორედ მაღალი მარილის, შაქრის და ცხიმის (განსაკუთრებით რაფინირებული) შემცველი საკვები შეიცავს დიდი რაოდენობით სწრაფად გამოყენებად ენერჯიას (რადგან უფრო სწრაფად შლის ორგანიზმი რაფინირებულ საკვებს და გარდაქმნის მას ენერ-

პრობლემის გადაჭრის მხარე

როდესაც ცუდად ვგრძნობთ თავს, პირველი რა გვინდება? ალბათ ის, რომ აღარ ვიგრძნოთ თავი ცუდად, ხომ ასეა? როდესაც ვართ ემოციურად დათრგუნულები, განსაკუთრებით შაქრიანი და ცხიმოვანი საკვების მიღება ტვინში გამოყოფს ოპიოიდებს (რაც ასევე გვხვდება ისეთ ნარკოტიკებში, როგორც არის კოკაინი და ჰეროინი), რაც გვეხმარება, რომ ხანმოკლედ თავი უკეთ ვიგრძნოთ. (ამასაც აქვს ევოლუციური ახსნა და ისევე ჩვენი გადარჩენის მაქსიმალიზაციას უკავშირდება)

ანუ, ემოციური ჭამა არის პრობლემიდან ყურადღების გადატანის და სწრაფად და მარტივად გადაჭრის მცდელობა. იმის გამო, რომ ვერ ვუშვავდებით ამ სტრესის გამომწვევ მიზეზს, დროებით მინც გვინდა, დავივიწყოთ და თავი კარ-

კულტურა/აღზრდა

ემოციური ჭამა (და დაღვება) ასევე შესაძლებელია უკავშირდებოდეს ჩვენს კულტურას და აღზრდას:

• **კულტურა:** როგორ ზემოქმედებს ჩვენს კულტურაზე კარგ ამბავს? ცუდს? ჭამა რასთან ასოცირდება? ჭამაზე უარის თქმა მიღებულია? ისტორიულად იყო დრო, როდესაც საკვების დეფიციტი იყო? კულტურულად საჭმელი გამოზომილად იდებოდა თითო თევზზე? თუ საერთო თევზიდან ხდება გადაღება?

• **აღზრდა:** დაფიქრდით თქვენს ბავშვობაზე. კარგად მოქცევა ნაყინით ან შოკოლადით ხომ არ ჯილდოვდებოდა? როდესაც ცუდად გრძობდით თავს, მამის ხომ არ იყო საკვები თქვენითვის „ნუგემის“ წყარო? სრულიად ნორმალურია, როდესაც იშვიათად და ზომიერად ვიღებთ ტკბილეულს და სხვა ე.წ. არაჯანსაღ საკვებს, არც ცალსახად საკვების საზეიმოდ გამოყენება არის ცუდი და კულტურას და ტრადიციებს ბევრი დადებითი და ჩვენთვის სასარგებლო თვისებებიც გააჩნია, ისევე ზომიერების ფარგლებში. ეს ხდება პრობლემა, როდესაც ჭამას ჩვენს უარყოფით ემოციებთან და სტრესთან გამკლავების ძირითად ან ერთადერთ მეთოდად ვირჩევთ.

ჯერ ერთი, რომ სამწუხაროდ ტორტის ჭამით ვერ გადავჭრით ჩვენს პრობლემას. ასევე, კვლევები რაფინირებული არაჯანსაღი საკვების რეგულარულად და დიდი დოზით მიღება ორგანიზმში ანთებით პროცესებს უკავშირდება. ეს ქრონიკული ანთება ორგანიზმში კი არა მხოლოდ ჩვენს ფიზიკურ, არამედ ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობასა და ტვინის ფუნქციონირებაზე ახდენს უარყოფით გავლენას.

ემოციური, სტრესული ჭამა (და ზოგადად არაჯანსაღი კვება) ასევე უკავშირდება:

- ჭამის შეგდება დალილოვის ბრძოლას;
- კიდევ მეტი არაჯანსაღი საკვების მიღებას;
- აკრძალვის წინააღმდეგობას;
- შებენილობას, მუსკლის არეული ფუნქციონირება;
- განუზრახველ ჭამას;
- ბავშვობაში გამოვლილ ბრძოლას;
- ჭამის შეგდება დასაჯების ბრძოლას;
- წონაში მომატებას.



გადავ. ტვინი სიგნალს გაძლევს, რომ სწორედ ეს სწრაფი ენერჯიის შემცველი საკვები უნდა მიიღო ახლავე, რათა ამ გარდაუვალ საფრთხეს გაუმკლავდე.

გად ვიგრძნოთ, რაც ძალიან გასაგები და ადამიანურია. ამის გამომწვევი ემოცია შეიძლება ასევე იყოს მარტოობა, მოწყენილობა, ან საკუთარი ცხოვრებით უკმაყოფილება.

დედაინფის სიღრმეში გაყინული არქტიკული მიკრობები იკვებები

ყინულის დნობის შედეგად მიკრობები თავისუფლდებიან და იღვივდებიან. მეცნიერებმა ჯერ არ იცნობენ, თუ რა შეიძლება მოიტანოს ამა. 2019 წლის აგვისტოში ისლანდია საბოლოოდ გამოეყოფილა მყინვარ ოკეანულს, რომელიც კლიმატის ცვლილების შედეგად ნელ-ნელა შემცირდა და სრულიად დადნა. ისლანდიაში, ამ მყინვარის გამოსამშვიდებელი ღონისძიებით, აღნიშნეს ეს შეუცვლელი ცვლილებები და მისი გამანადგურებელი შედეგები.

გლობალურად, მყინვართა დნობის ტემპი, უკანასკნელი 5 წლის მანძილზე, თითქმის ორჯერ გაიზარდა, საშუალო დანაკარგი კი 832 მილიმეტრი წყლის ექვივალენტს წარმოადგენდა 2015-ში, ახლა კი ეს მაჩვენებელი 1.243 უტოლდება. დანაკარგის მაღალი მაჩვენებელი ამცირებს მყინვარების ფართობს, დნობის შედეგად კი გარემოში გამოიყოფა დიდი რაოდენობით მტკნარი წყალი, რაც მის გარემო არსებულ ეკოსისტემებს სტრუქტურულ ახდენს გარკვეულ ზეგავლენას. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე, არქტიკის დათბობის ტემპმა ბევრად გადააჭარბა იმ მაჩვენებელს, რაც აქამდე მეცნიერების მიერ იყო ნაგავად აღებული. ამ შედეგის გათვალისწინებით კი, მეცნიერები ფიქრობენ, რომ პოლუსებზე დათბობა იმაზე 4-ჯერ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე დედაინფის დადარჩენ ნაწილში. მსოფლიო ყინულს კარგავს, კავკასიონი გამოწვევის არ არის.

ამ პროცესებმა გამოიწვია მყინვარების სწრაფი დნობა და ყინულის იმ რაოდენობის გაქრობა, რაც მეცნიერების პროგნოზით 2050 წლამდე მაინც უნდა შენარჩუნებულიყო. ციმბირსა და ჩრდილო კანადაში ამ უცვლელი დნობის შედეგად წარმოიქმნა ეგრედ ნოდებული ჩანაწერი ლანდშაფტები, რომელთაც თერმოკარსტები ეწოდება. გლობალური დათბობის პირობებში პერივალციალურ გარემოზე მრავალი პასუხისმგებელი კითხვა რჩება. მათ შორის: თხევადი წყლის რაოდენობის ზრდასთან ერთად მოიმატებს თუ არა მარადი ყინული? თუ ასეა, მაშინ შესაძლოა თუ არა, რომ ყინულიდან მოხდეს გარემოში ისეთი ორგანიზმების გამოყოფა და „გაღვივება“, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე იყვნენ გაყინულ მდგომარეობაში?

ამჟამინდელი მონაცემებით მარადი ყინული დედაინფის ხმელეთის 24%-ს ფარავს, ნიადაგი ნივთიერებათა შემცველობა კი ადგილის გეოლოგიის მიხედვით იცვლება. არქტიკულ ყინულებში კერ კიდევ შეუხსნაველი მიკრობთა მრავალფეროვანი სახეობები ინახება. მათი მოქმედება საგარეოდ გავლენას იქონებს გარემოზე, ეს შეიძლება იყოს გარემოში ისეთი ნივთიერებების გამოყოფა, როგორც ნახშირბადა. ცნობილია, რომ ზოგიერთ ადგილას ასობით მილიონი წლის ნახშირბადი ინახება.

ეს ფენები შეიძლება ისევე შეიცავდნენ უძველეს გაყინულ მიკრობებს, პლესტოცენის მესამე ეტაპსა და ნუტეციკულს დამარხულ მსხვერპლებსაც კი. მარადი ყინულის დნობის ზრდის აჩქარებასთან ერთად, მეცნიერები ცდილობენ ისეთი მიკრობების, ბაქტერიებისა და ვირუსების აღმოჩენასა და იდენტიფიცირებას, რომელთა მოქმედება გარემოზე შეიძლება შემსწავლად აღმოჩნდეს - ეს ახალი გამოწვევა იქნება მეცნიერებისთვის.

მეცნიერებისთვის ამ მიკრობთა ნაწილი უკვე ცნობილია. მაგალითად, მეთანოგენური არქეა ნიადაგში არსებულ ნახშირბადს მეთანად - პოტენციურ საბიურის აირად გარდაქმნის. აქვე გვხვდება სხვა მიკრობები (მეთანოტროფები), რომლებიც სწორედ მეთანს მოიხმარებენ. ამ მიკრობებს შორის ბალანსი ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს მომავალი კლიმატის ცვლილების პროგნოზირების საქმეში. ასევე ცნობილია არქტიკულ ყინულებში მოიხმარებენ სხვა სახეობის მიკრობებიც, თუმცა ჯერჯერობით უცნობია ის, თუ „გაღვივების შემდეგ“ რა გავლენა შეიძლება იქონიონ მათ გარემოზე. ახალი მტკიცებულება მდნობარ ეკოსისტემებში გენების გადატანის შესახებ მოითხოვს გარემოს მრავალდონიან რესტრუქტურისაზე. არქტიკულ ოკეანეში, პლანქტონური (Chloroflexi) ბაქტერიამ ახლახანს შეიძინა ისეთი გენები, რომლებიც აქტივობაქტერიების მიერ გამოყოფილ ნახშირბადს შლის. დნობისგან ადვილად მყინვარულ მდნარეებს გადაქცევა არქტიკაზე დალექილი ნივთიერებები მდნობარ პერმაფროსტიდან ზღვამდე, რის შედეგადაც შესაძლოა ამ მიკრობებმა სრულიად ახალ გარემო პირობებში და ახალ ეკოსისტემაში ამოიყონ თავი.

პერმაფროსტის დნობამ ციმბირში 2018 წელს გამოიწვია ციმბირული წყლულის აფეთქება, რასაც შედეგად მოჰყვა 200.000 ირმისა და ერთი ბავშვის სიკვდილი. როგორც ჩანს, Bacillus anthracis-ის (ციმბირის წყლულის გადამტანი ბაქტერია) მყარი სპორები გამოწვევის ნარმოადგენს, ვინაიდან გაყინვა-გადნობის ციკლი ხშირად უფრო სუსტი ბაქტერიებისა და ვირუსების დაავადების გადამტან ბაქტერიებს კი შემგუბლური თვისებების საშუალებით შეუძლიათ გაიყინულ მდგომარეობაში, საუკუნეების ძილის მანძილზეც შეინარჩუნონ სიცოცხლისუნარიანობა.

ის ცოცხალი ორგანიზმები, რომლებიც ევოლუციას ახლა უკვე გადაუმეფულ ეკოსისტემებში ცხოვრობისას გადიოდნენ (კაინოზოური ერიდან პლეისტოცენამდე არსებული ცოცხალი ორგანიზმები), შესაძლოა ჩვენს თანამედროვე გარემოშიც მოახერხონ გამარჯვებული ცხოველმდებობა და სრულიად ახალი გზებით ურთიერთქმედება დღევანდელ ეკოსისტემე-

ბთან. ამის მაგალითი არის Orthopoxvirus-ის სახეობა Alaskapox, რომელიც კანის დაზიანებებს იწვევს. იგი უკანასკნელი 5 წლის მანძილზე ალასკაზე ორჯერ გამოჩნდა და გაქრა. შესაძლოა, მისი გადაცემა ადამიანების ცხოველთან კონტაქტით ხდება, თუმცა ამ ახალი ვირუსის წარმოშობა ჯერ უცნობია. არქტიკის მიკრობიომები მრავალ ზედასხვა სახეობის სიცოცხლისუნარიან მიკრობებს შეიცავს, რომლებიც კარგად ეგუებიან ყინვას. ზოგიერთი სახეობა ფსიქროფილების მსგავსად უმკლავდება მკაცრ გარემო პირობებს. ფსიქროფილები ბაქტერიის სახეობას წარმოადგენენ, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ყინვის პირობებში ცხოვრებაზე არიან ადაპტირებული.

ეს სახეობები შესაძლოა დათბობის შედეგად გადაშენდნენ. სხვები კი, რომლებიც ადვილად ახერხებენ ნებისმიერ გარემო პირობებთან შეგუებას, გადარჩებიან და მრავალი ტიპის გარემოში შეძლებენ დასახლებას. კრიოსფეროს დაკარგვის შემდეგ კი ალბათ სწორედ ასეთი სახეობები გადარჩებიან. და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ არქტიკულ ყინულებში ინახება მიკრობთა ისეთი ჯგუფები, რომლებიც მეცნიერებისთვის ჯერ სრულიად უცნობია და შესაბამისად, ისინი პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენენ.

ნათელია, რომ რაც უფრო მეტად თბება არქტიკაზე, მით უფრო უცნაური ხდება იგი, რადგან ზედაპირის ტემპერატურა იმატებს და იცვლება მთელი ეკოსისტემა. დედაინფის პირველად ყალბდება ისეთი გარემო, რომლის მსგავსი ადამიანთა ისტორიაში ჯერ არ ყოფილა. ამას ემატება ჩვენთვის სრულიად უცნობი მიკრობების „გამოღვივება“, ეს ყველაფერი კი დიდ გამოწვევას წარმოადგენს, ვინაიდან დღევანდელი მონაცემებით არსებული რისკების ზუსტად შეფასება საკმაოდ რთულია. ყურადღება უნდა მიექცეს როგორც ისეთ მიკრობებს, რომლებსაც ვიცნობთ, თუმცა ჯერ არაა შესანალიზი

(როგორცაა ანტიბიოტიკ-რეზისტენტული ბაქტერია), ასევე ისეთ ორგანიზმებსაც, რომელთა შესახებ ჯერ არაფერი ვიცით. ამ შემთხვევაში ის იგულისხმება, რომ არსებობს უძველესი ვირუსული გენომების აღდგენის პოტენციური რისკი არქტიკის ყინულოვანი მიდა-მოებიდან.

ყველა ზემოხსენებული მიზეზის გამო, საჭირო გახდება შეიქმნას სახელმძღვანელოები მომავალი არქტიკული კვლევებისთვის. ამ ლოკაციებზე ადამიანთა მიმოსვლის გახშირებასთან ერთად, იზრდება კონტინენტებს შორის პათოგენების გადატანის რისკიც. სწორედ ამიტომ, პლანეტარული დაცვის სახელმძღვანელოები, რომელსაც კოსმოსური საავტენტოები იყენებენ, რათა თავიდან აირიდონ საბალანეტოპორის დაბრუნება, შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც ჩარჩო. არქტიკაზე კი საჭიროა მუდმივი ბიოთვალუვალის დანახება, რათა მოხდეს ამ სახეობების რაც შეიძლება სწრაფად აღმოჩენა, შესწავლა და არსებული რისკების თავიდან აცილება. არქტიკის ტრანსპორტაციის პირობებში ერთი რამ ნათელია: XXI საუკუნეში კლიმატის დათბობის შედეგად, იკვეთება ახალი ორგანიზმები და ჯერ კიდევ უცნობია, თუ რა გველის წინ.

წყარო: Scientific American
გვერდი მოამზადა
ხათუნა პანაშვილმა

მეუღლე ნინო ოზაშვილი, შვილები: თამარ, ნიკა ბენაშვილები
ლრმა მწუხარებით იუწყებიან
გივი როზიზონის ძი პანაშვილის
გარდაცვალებას.
დაიკრძალა 18 თებერვალს, ქ. დედოფლისწყაროში

ბიძაშვილი გურამი, ძალი უფუფუნა, ბიძაშვილის შვილები: მარინა, ნოდარი (ოჯახით) მილაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მამი-დაშვილის
გივი როზიზონის ძი პანაშვილის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ივერი ჭუჭულაშვილის ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს მაყვალა და ლილი ნანობაშვილებს, მამუკა ყაჯრისვილის
მამუკა ყაჯრისვილის
გარდაცვალების გამო.
დაიკრძალა სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევში.

ლაშა ბექაური თელ-ავივის გრან სლემის გამარჯვებული გახდა

თელ-ავივში მიმდინარე გრანდ სლემზე 90 კგ წონით კატეგორიაში დედოფლისწყაროელმა ლაშა ბექაურმა ოქროს მედლისთვის ბრძოლაში ესპანეთის სახელით მოასპარეზე ნიკოლოზ შერაზადაშვილი დაამარცხა და ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა.

90 კგ წონით კატეგორიაში, მესამე ადგილის მფლობელი ბექა ლვინიაშვილი გახდა, რომელმაც აზერბაიჯანელ მეხდივეს სუფთა გამარჯვებით სძლია.

ამ დროისთვის თელ-ავივში მიმდინარე გრანდ სლემზე საქართველოს ნაკრებს ერთი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ბრინჯაოს ორი მედალია.

ცნობილია, რომ გელა ზალიშვილი, რომელმაც ნახევარფინალში გურამ თუშიშვილი დაამარცხა, ფინალში რუს ტამერლან ბაშაევს შეხვდება. თუშიშვილი კი ბრინჯაოსთვის იჭიდავებს.

100 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედლისთვის ერთმანეთს ქართველები — ონისე დანებლიძე და ილია სულამანიძე დაუპირისპირდებიან.

საქართველოს ძიუდოსიტა ნაკრებმა თელ-ავივის გრან სლემზე ვაჟთა შორის 2 ოქროს, 1 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და გუნდური პირველი ადგილი დაიკავა. კიდევ ერთი ბრინჯაოს მედალი ეთერ ლიპარტელიანის ანგარიშზეა. ჯამში საქართველოს ძიუდოსიტა ნაკრებმა თელ-ავივში 8 მედალი მოიპოვა, რაც გრან სლემების ისტორიაში საქართველოს ნაკრებისთვის სარეკორდოა.



Grand-Slam Tel Aviv 2021							
Medals (Male)							
All	Female	Male					
		Nation	1st place	2nd place	3rd place	5th place	7th place
1.		Georgia (GEO)	2	1	4	2	0
2.		Spain (ESP)	1	1	0	0	0
3.		Netherlands (NED)	1	0	2	1	0
4.		Uzbekistan (UZB)	1	0	2	0	1
5.		Azerbaijan (AZE)	1	0	0	2	1
6.		Romania (ROU)	1	0	0	0	0
7.		Russia (RUS)	0	1	3	1	1
8.		Israel (ISR)	0	1	1	0	2
9.		Belarus (BLR)	0	1	0	1	2
9.		Italy (ITA)	0	1	0	1	2
11.		Mongolia (MGL)	0	1	0	0	0
12.		Kazakhstan (KAZ)	0	0	1	0	1
13.		Hungary (HUN)	0	0	1	0	0
14.		Great Britain (GBR)	0	0	0	2	0

გიორგი შერმადინი ესპანურ ლიგაში წლის გიგანტად დაასახელეს.



გიორგი შერმადინის „ტენერიფეს“ ქართველი ცენტრი ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის გიგანტად დაასახელეს, - ინფორმაციას კალათბურთის ფედერაცია ავრცელებს.

ფედერაციის ცნობით, ესაა ესპანეთში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჟურნალ ჩიგანტეს ყოველწლიური დაჯილდოება, რომელიც 33-ედ ჩატარდა. გასულ, 2020 წელს აღნიშნულმა ჟურნალმა ლიგა ენდესას წლის გიგანტად იმჟამად ესპანურ „ბასკონიაში“ მოთამაშე თორნიკე შენგელია დაასახელა.

აღსანიშნავია, რომ შერმადინი გასული, 2020 წლის ლიგა ენდესას საუკეთესო მოთამაშედ თავად ამ ლიგის ხელმძღვანელობამ დაასახელა. მიმდინარე სეზონში გიორგი შერმადინი საშუალოდ 24.38 წუთს თამაშობს და 17.3 ქულას, 5.8 მოხსნას, 2.4 პასს და 1 ჩაჭრას ავრთვებს. ასეთმა შედეგიანობამ შერმადინს მიმდინარე სეზონში უკვე მეორედ მოუტანა თვის (ოქტომბერი, იანვარი) MVჯ-ის ტიტული. რაც ყველაზე მთავარია, შერმადინი ერთპიროვნულად და დიდი უპირატესობით ლიდერობს საშუალოდ მოგროვებულ სარგებლიანობის ინდექსით. მისი მონაგარი მატჩში საშუალოდ 23.3-ია, როცა მეორე ადგილზე მყოფ მადრიდის რეალის ცენტრ ედი ტავარემის ეს მაჩვენებელი 18.7-ია.

სწორედ ტავარეში დასახელდა 2020 წლის გიგანტ მამაკაცად. ჟურნალმა არაერთ ნომინაციაში გამოავლინა საუკეთესო, რომელთაგანაც რამდენიმე საინტერესო პრიზის ავტორს ვთავაზობთ:

- ლუკა ვილდოზა (ბასკონია) — წლის ლათინოამერიკელი პიერა ანრი (ბასკონია) — წლის ახალწვეული
- უსმან გარუბა (რეალი) — წლის დამცველი
- ხოან პენაროია (ბურგოსი) — წლის მწვრთნელი
- ფრანჩესკ სოლანა (ლერიდა) — წლის სპორტული დირექტორი.

თბილისის დინამო საქართველოს სუპერთასის მფლობელი გახდა

საქართველოს სუპერთასის თბილისის „დინამომ“ მოიგო. მოქმედი ჩემპიონი წლის პირველ ოფიციალურ მატჩში დავით ყიფიანის სახელობის თასის მფლობელ „გაგრას“ დაუპირისპირდა და პენალტების სერიაში დაამარცხა. შეხვედრას საქართველოს ეროვნული ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი, ფრანგი ვილი სანიოლიც ესწრებოდა.



ანგარიში გაგა კირკიტაძის გუნდმა გახსნა. მე-12 წუთზე გიორგი ქობულაძემ თავური დარტყმით შეძლო როინ კვასხვაძის კარის აღება. მეორე ნახევარი კი „დინამოელთა“ სწრაფი გოლით დაიწყო. ზორან მარუშიჩმა „დინამოს“ მასიურით ოფიციალურ მატჩებში სადებიუტო გოლი გაიტანა. ზუსტად 20 წუთში გიორგი ნემსაძის გუნდი დანაშაურდა. ამჯერად გიორგი კუციას პასი გიორგი გაბედავამ გამოიყენა. გაგრამ ანგარიში მალევე გაათანაბრა. ამჯერად თავი ლუკა ნოზაძემ გამოიჩინა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 2:2.

გამარჯვებულის გამოსავლენად პირდაპირ პენალტების სერია დაინიშნა. 10 პენალტი შესრულდა, საიდანაც მხოლოდ ერთი არ გავიდა. გაგრას ნახევარმცველ თეიმურაზ მარკოზაშვილის დარტყმული როინ კვასხვაძემ აიღო და მატჩის გმირი გახდა. დინამოელთა მეკარემ თავადაც მოახერხა თერთმეტმეტრიანის გატანა. გადამწყვეტი პენალტი კი გიორგი გაბედავამ გაიტანა.

საბოლოოდ, „დინამომ“ „გაგრას“ პენალტების სერიაში 5:4 აჯობა და სეზონი ტიტულით დაიწყო. ეს თბილისური კლუბის ისტორიაში მე-8 საქართველოს სუპერთასია, ხოლო „გაგრა“ სუპერთასის ფინალში მეორედ დამარცხდა. გიორგი ნემსაძემ სამწვრთნელო კარიერაში პირველი ტიტული მოიპოვა.

ამინდი

ორშაბათი 01.03
დღე ღამე

სამშაბათი 02.03
დღე ღამე

ოთხშაბათი 03.03
დღე ღამე

ხუთშაბათი 04.03
დღე ღამე

პარასკევი 05.03
დღე ღამე

შაბათი 06.03
დღე ღამე

კვირა 07.03
დღე ღამე

5°	-2°	2°	-4°	5°	-4°	5°	-4°	6°	-3°	8°	-2°	8°	-2°
----	-----	----	-----	----	-----	----	-----	----	-----	----	-----	----	-----

გამომცემელი შპს „შირაჰი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ჰანაშვილი (ჟურნალისტი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ზანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქინძაძე (საქმის მწარმოებელი);
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაჰის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

REDAȚIIS MSAMRTIA:
ქალაქი დედოფლისწყარო,
ფოსტის №18,
ტელ. 0 356 22 22-87;
598 72-18-72 (დირექტორი)
591 97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.